

# სწოლის უპრსკელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 237.

კვირა, 18 ივლისი 1904 წ.

წამების № 2557.

### ნახევარ-შვილი

მოხსრობა კოლონ მისეკისა.\*

ლაერენტ გავი შეძლებული მემამულე იყო. იმისი ახალგაზდა, ლამაზი და სიციხლით სავსე ცოლი პირველ მშობიარებას ვადაცა. კირისულეებმა დაიტირეს და დასაფლავეს: მათ სანუგეზოდ დარჩა ჩჩვილი ვაგი.

მოხუცმა დედამ აიყენა შეხვეული ბავშვი და გულმტყინულად მიუღერსა. გულ-ანუგებულს თუ კი და რამ ცრემლი შერჩნოდა, ისიც ზედ დაფრქვია უსუსურს.

— ბედ-კრული! საუკუნოდ მოგესპო აღერსი და მზრუნველობა დედისა, რა სიციხლე იქნება შენი სიციხლე უღედოდ! — სთქვა მოხუცმა.

დღიღას ერთი სურვილი იქნოდა: უნდოდა დაბნევილიყო სიძის სახლში, დაეკავებინა ოჯახის გამგებლობა, დასახლისობა... ეპარაზა. წინასწარ ჩვენს დროში უმზნოდ არ მიმართავს ასეთის სიტყვებით სამის დღის ჩჩვილს.

— რა სთქვი, რა მოეღის ჩემ ობოლს? მე ძალიან კარგად ვეღვრდი... — სთქვა მამამ და ჩამოართვა ბავშვი, რომელსაც მზრუნველად ჩაუკონა ვარდის-ფერი პაწაწინა ლოყა. — არას გაგიტირებ, ჩემო პატარავ... მათე დაგიბრუნდება დედა, არ დაგტოვებ უღედოდ...

— ნუ თუ ის, რომელსაც დააბრუნებ, დეიძლი დედა იქნება? — შერინა ცოლის და.

— მე დაბრუნებ ნამდვილ დედას!

— წაიღ, მკვდრეთთ აღადგინე, რაკი ყოვლად შემიღებ ზხადი შენს თავს... ის, რომლის ძელები გვერ არც კი გაციებულა ციე სამარში, აქვე დარჩება საუკუნოდ, სამარადისოდ... და ის კი, ვისაც შენ მოგვერი ამ ბედკრულ ბავშვს, ჩემო ლაერენტ, დედა კი არა, დედინაცალი იქნება... ტყუილად კი არა თქმულა: ჰედინაცავილი და თვალში წაკარიოა\*. გინდ სინიდი-სიერი, ნაზი და შემზრალე გულის პატრონი იყოს, მიანდ დედინაცალი იქნება...

რამუნისამე დღის შემდეგ გავი ქალაქ პეტრში წავიდა, თან წაიყვანა შვილი და იქ მიამარა... გავი გულხაზევული, შეუღლებული, მტკიცე ხსიათის კაცი იყო. არავის არ გაუზიარებდა ხოლმე გულის პატარას. კრინტი არ დასძრა, თუ სად და ვისთან დასტოვა პაპისა... არც უციხავთ იმისთვის.

ამ ამბავმა მეზობლებში ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

პეტრიდან დაბრუნების შემდეგ, სამი კვირაც არ გასულა, რომ გავი შერთო უღელმარბესი ქვრივი ბარბარე ცაგერისა.

მეზობლებმა უფრო განცივებრბია აიჩქრეს მხრები: საძაგელი კაცი, ეს გავი... ბული მოიშორა თავიდან, გადამკლამა... და ცოლი კი შერთო! კარგია, შეიღონანისა, ლამაზი ცოლი, გვერდს არ გაუცივებს...

განვლო დრომ. რამდენსამე თვის შემდეგ დალოგინდა მეორე ცოლი ლაერენტ გავისა. ცუდა ვაგი.

ჯერ კარგადაც არ იყო გამოკეთებული მშობიარებისა-გან ცოლი, რომ გავი პეტრში წავიდა და... თან წაიყვანა ახლად დაბადებული მეორე ვაგი. პეტრიდან მარტო დაბრუნდა.

ამას რას ეხედავთ, თქვენი ქირიმე? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს მეზობლები. — დაბადებისათვისავე მეორე შვილიც მოინელია... ბავშვი — ქამია, ე ოჯახპარი, თუ რაა? რას უშვრება შვილებს გავი, სად და ვისთან ამინავებს? და გაჩაღდა ქორიკანობა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას: „პეტრში კი არა და! ბუღაჩეში მიიყავს, სადაც, როგორც ამბობენ, ქარხანა ანგელოზებისა! იოხუჯა ერთმა მეზობელმა.

იმ დროს, როდესაც მეზობლები ლაერენტ გავიზე ათას უცნაურ ამბებს სთხავდნენ, იმის საყუთარ სახლში, რომელიც სოფლის საუკუნესოა შენობა იყო, აუტანელი მწუხარება ტრიალებდა. ახალგაზდა მუღულ სსოწარკეთილებას მისცემოდა. მუღულ-მოდრეკილი ეწუდარებოდა გულ-ჩაზევულ, უკმეზ ქმარს: სთხოვდა შვილს. ხან მკაცრად ემუქრებოდა, კანონთა აზინებდა, ხან-კი მუღულ-მოდრეკილი, გვარცმის წინაშე გათბამული წყველიდა ქმარს:

— შე უფოო, უსამართლო, სად გადამიღუპე უსუსური ბავშვი?! მომგვარე ჩემი საცოდავი შვილი!


გულ-ქვა და თვით-ნება იყო ეს უცნაური ადამიანი.

— იქ უკვლავს ბავშვს, საცა არის, — უპასუხა ქმარმა. — მოვა დრო, და მოგვერი შენ შვილს... ნუ შეფარვ, ნუ მთხოვ შეუღლებელს, ამაოდ დაშვრები. დრომდის ვერ გეტყვი და ვერც დაგიბრუნებ შვილს. ამანუ შევეციე ჩემ პირველ ცოლის გაუციებელ გვამს... არც დავარტყვ ფიცს.

განვლო ხუთმა წელმა. დღის ტანჯული გული აცემებოდა მწუხარებისაგან. ყოველ საშვალეებს ხმობდა და საბარა დღეა, რომ როგორმე მიგეცოდა შვილის ასავალ-დასავალისთვის; ენახა ერთ წუთს მიანც, მაგრამ „გულქვა მამას“ ვერ მოუღობო გული, ვერა და ვერა! კრინტსაც არ სძრავდა შვილის შესახებ. მხოლოდ ხშირად დაიარებოდა პეტრში შვილების სანახავად. როცა კი იქიდან მოვიდოდა, ტყუილად ცოლს: — ბავშვები, ორიენი, ჯანმრთელად კარგად არიან... ერთი კვირავა იყო დარჩენილი ცოლის სახეწოდების დღემის, რომ დაბრუნებულ უნებია:

— ქალო, ზგ წავიდ პეტრს და მოგვერი შვილებს.

უცნაური სიხარულით შეიკვლია ცოლმა და ჩამოკვიდა ქმარს ქისრზე. ქმრის სიტყვებმა თვალის დახამამების უმალ გააქრო დღის გულში ხოთის წლის ტანჯვა-მწუხარება.



ზინგან საქეთა მინისტრი  
ფონ-ნაქვე.  
უუშარი მოკლეს 15 ივლისს პეტერბურგში.

\* მისეკი პუნგელი მწერალი.



ოპ, რა ბედნიერად გაატარებდა ამ ტანჯულ ხუთ წელიწადს, რომ შვილი გვერდით ჰყოლოდა, გაეგონა პირველი ტიტინი თავის ბავშვისა, ჩაკვირებოდა, თუ რა როგ ებუქებოდა, ენერგებოდა ნორჩ გონებაში ნახულ-გაგონილი, რა ფრად სცნობს ნახულ საგნებს და რა როგ იწყებს მოქმედებას ჰკვა-განების საკვირველი მანქანა...

დრო და გარემოება ხშირად ცვლებოდა. უცვლელი კმუნდაწეული დავიწყებას მიეცა, როდესაც პარბარეს სახელწოდების დღეს ეზოში შემოგრაილა ეტლი. ვატომ განათავისუფლა მელის ტყავის ქურჭში თბილად შეფუფუნებული ორი მშვენიერი ვატი, რომელთაც ბროწეულის ყვავილსავეთ დაჰკორებოდა ღაწვნი და ღაქლავი დაჰკოროდათ სახეზე.

ქალმა მსწრაფლ გადაავლო ორივეს თვალს.

— დედა! — შესძახა ორთხა და ჩაეკრა გულში.

— დედო! — შეეტრფილა მეორე და ესეც ისევე ჩაეკრა გულში. მღაუწყეს კოცნა დედას. ორივენი თავ-დავიწყებით ჰკონდინდნენ, ეტიტინებოდნენ დედას. დედა მკეტის სიხარულით გარინდებულყო: „რომლის კოცნა უფრო უტკებსია, გრანობიერია? — ეკითხებოდა თავის თავს და ვერ გადაეწყვიტა.

ქმარი კი შვილებს ეძახდა: ერთს ლანის, მეორეს პალის; ბავშვები სახითაც და ტანითაც ძრიელ ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივენი თანაბრად იყვნენ განვითარებულნი: განვითარებულნი და სხეულითაც. ხნითაც მკითრე რამ განსხვავება იყო იმათ შორის.

პასუხის ნაცვლად, ვატომ ვადიხარხარა.  
— ერი ჰააა, ჩემო კარგო, ძან შეტოპე! მაშ რისთვის აღზარდე შვილები მოშორებით და ფარულად და ვანათვლინე? იმიტომ, ჩემო კარგო, რომ შენ ორნივე თანაბრად გვაყვებოდა. არ გცოდნდა, რომელია შენი ღვიძლი შვილი.  
— დაფიქრი, მაგას რას საილა, — შეეკენსა სსსო-მიხილშო ცოლმა.


— საკმარისად მაქვს ნაფიქრი, — მიუგო ქმარმა. — როცა ესერი სრულწლოვანი, ოკოცის წლისა ვახდებიან, როცა შენი დედობრივი მზრუნველობა საჭირო აღარ იქნება, მაშინ გეტყვი: რომელია შენი შვილი და წარმოგიდგენ წერილობით საბუთს.

მხოლოდ ის და დარჩენოდა დედას, რომ ერთნაირად და თანაბრად ჰყვარებოდა ორივე ბავშვი; მაგრამ მოზო-პლოვანი, ოკოცის წლისა ვახდებიან, მარად წარაჯობას, შუთათეს, დედებს, სცილოლბს მიხედეს, საწადელს.

გამუდამებით, დღე და ღამ აკვირდებოდა შვილებს, სურდა, სწადდა აღმოეჩინა ერთ-ერთში ისეთი თვისება, მიდრეკილება, ზნე-ხასიათი, რაც თვითონა ჰქონდა. ხან ერთს, ხან მეორეს დააყენებდა სარკის წინ, ამოუღებოდა გვერდში, ეინ-მორეულის სურვილით ჩაატკრდებოდა, აღარებდა სახეებს, სურდა მიმხედარიყო: რამდენად ჰგავს ეს თუ ის, რომელი იყო მისი ღვიძლი შვილი. საბარლო დედას გული ძალზე უმტვრდა. ზოგჯერ მოეჩვენებოდა: ავერ თითქოს მიხვდა კიდევ: ახლის ფარდას ქმრის საიდუმლოს, ეს-ეს არის აღმოაჩენს უტყუარ მსაგვსებას თავის თავისა და შვილ შორის, აღფრ-



მარბალი თიმოლომი ჰეცაძელი  
სიონიშის მეთაური (ებლახან გარდაიცვალა).



ტებალა სმება. სურ. კოლმ.ნისა.

ცოლმა გაიხმო განზე ქმარი და განუსაზღვრელის სურვილით ჰკითხა:  
— რომელია ჩემი შვილი?

თოვანებოდა, რომ სწედება საწადელს, სურვილს, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, დღეს რომ ერთში ჰპოებს მსაგვსებას, ხვალ — მეორეში...



მამ ღედის შგრანობიერი გული, მრავალჯერ ნამღერი შგოსანთა მიერ, რას ეუბნება, რომელია იმისი შვილი? დიდ, თურმე გული ვერას უშეღავნებდა. თუმცა შგოსანნი ათას-წლოზით გვარწმუნებენ, რომ შვიდღება გულთა-შიზილაობაო... შგარამ ჩვენს დროში ვილას სწამს ესა?

ამასობაში ბავშვები წამოიზარდნენ და სწავლა დაიწყეს. ორივე ბავშვი კარგი და შხიარული იყო. ესლა კი იკოდნენ, რომ ბარბარე შხოლოდ ერთის ღედა იყო. თითვეული ჰფიქრობდა, რომ ბარბარე იმისი ღვიძლი ღედაა.

ოჯახი სიყვარულით სცხოვრობდა, შშვიდად... გაცი-ავად ვახდა. ცოლი შვეცადა, ესარგებლნა ამ შვებთვევით. როცა სხეული დაეადღებულა, ფიქრობდა იგი, სულიც ავა-ღდებდა. რაც კი შვეძლო ერთგულად და გრანობიერად უე-ლიდა ქმარს, ამავე დროს ზეწნით და მუდარით მოსვენებას არ აძლევდა. ევერღებოდა ვთქვა, რა-შელია იმისი შვილი.

ლიყო. ბაღლები ირწმუნებოდნენ: შინა თავის თავად გატყ-დაო. შგარამ ღედა შამწინე შიხვდა, რომ დამწაშეე ლანი იყო, თუმცა ნამღელილად შინა პალის გაეტეხა. ასე მოზღებო-და ხოლმე ხშირად. ყოველივეს აკვირდებოდა ლავერტი გატი.

— ეებს, ჩემო ჯალაბო, ვერისა კი ჯალათო!—შესძახა ერთელ ქმარმა.

— რა იყო, ლავერტი?—ჰკითხა ცოლმა.

— რაღა რა იყო! მეთანაღრება და დავკინის გული. ერთი ყალიბისანი ხართ ქაღები. შენს გულში ოდნავ შვეცებ გრანობათა სუსტ ძარღვს. ავატოკე და ღედის ადგაღას უტებ გამოტყვრა ღედინაცვალი. შენი გამოცოდა კარგი არ გამოღდა.

— რა გამოცოდა?—ვითომ ვერ მიჰხვდა, ჰკითხა ცოლმა.

— გამოცდა შვილებისადმი. რაკი აღარ მომეშვი, ვადა-წყვიტე დამესხელებინა შენ შვილად ის, რა-შელიც პირვე-



ზღვის პარას.

— იყავ კეთილი, ლზობიერი, შითხარ, რომელია ჩემი შვილი? გეფოტები ღმერთს, რაც კი წმინდათა-წმინდაა, ღედი-ჩემის საფლისკ, რომ შხოლოდ მე შეკოდინება. არას დროს, არავითარ შვებთვევასა და გარემობაში არ შვეამწნევენებ ჩემ ვერს ღედინაცვლობას... ორიენე თანაზარდ მევეარებთან.

— კარგი, კარგი, ჩემო შვირფსოა. გერწმუნებო, რაკი ვგრე შტკოტედ შვეფოტები,—ანუგეშა ქმარმა.

სწორედ ამ დროს ოთახში შვიმოვიდა ბალი.

— აგერა შენი შვილი...—წამსწარწული ლავერტიმოცაოს. ეალი წამოიჭრა... მივარდა შვილს; ენით გამოუთქმელ ვრანობით ჩაჰკოცნა შვილი, უაღერესა, იქვე ჩაჯდა, დაიღო შუხტზე შვილის თავი და დაუწყყო ლოლიობა იმის პარეშუ-მისებრ ღია წაზლისფერ თმებს.

საუზმის შვედგე საუკეთესო ვაშლი პალის გრგო, ხოლო სადილის დროს პალის ხანრე იღო უფრო მოზღდილი და კარ-გი ნაჭერი ღვეზილი.

ერთხელ, საღამო ხანს, როცა ბაქშვები ბურთის თამაშო-ბდნენ, შენიშენს, რომ ფანატურის სარკმლის შინა გატეხი-

ლი შვიმოვიღდა ოთახში.

— საშინელებათა...—შეჰკოცო ცოლმა. ნუ თუ მომატყუე?

— და შენ კი არ მომატყუე? შეშპირდი, შვილები თანაზარდ მევეარებთანაო. შენ ავაურედილი ლანის, პალის კი გაღმრავალკეცე ზარუნვა—აღერისი.

გონ-მიხდილი და მისუსტებული ღედა ტახტზე წამოწვა. ის იყო და ის: მას შებდგე კრინტიც არ დაუძრავს. შვილარ ჰბედავდა ეკითხნა ქმარისათვის: რომელი იყო იმისი შვილი; ამაოც იქნებოდა. ერთის იმედით და სასოება: შვესრულდებ-ბით ოცე წელი და შამწინ ვაიგებს სიმართლეს. ეს დროც თანდათან ახლოვდებოდა.

იმ დროს ეზოში ცაცხვის ხეების ფოთლებმა შვეცი-თ-ლებდა და ჩამოცივენა წყეს. ბავშვები ქალაქის სასწავლებელ-ში წაიყავნენ. და როცა კი ცაცხვის სიოცხლის ეღვეფი დაეტყოზობათ, როცა იმათ ტრეტები ფოთლით შვიმოსებო-დნენ, ყმაწვილებსაც შინ მოსგლის დრო დაუღებოდათ ხოლ-მე. მოდიოდნენ და თან სიოცხლი მოჰქონდა.



ყოველივე წარმავალია. ერთ გაზაფხულს ცაცხები სრულად შეიმოსნენ ფოთლით, ლავრენტი გატის შვილები კი ჩვეულებრივ არ მოვიდნენ. სკოლიდანვე გაეგზავნენ ომის ვნლზე.

ერთხელ არაჩვეულებრივის სათნო გამომეტყველებით სკოლაში შევიდა მოძღვარი—მასწავლებელი. თან შეტყევა მსახური, რომელმაც ამ ჯერად წიგნების მაგიერ თოფები შეიტანა. სიმძიმის გამო მსახური წელში წახრილიყო. მოძღვარმა ამბიონზე ასვლისა თანავე მიმართა მოსწავლე ქაბუთს: —ჩემო მეგობრებო, დახურეთ წიგნები. ძნელი და განსაცდელი დღე დაადგა ჩვენ ძვირფას საშობალოს. თქვენგანს რომელს შეუძლიათ ხელ-მარჯვედ თოფის ხმარება?\*

როცა გასაჭირია, თოფი ჩალასავით მსუბუქია. ერთსაც არ უთქვამს უარი: ყველანი საომრად წავიდნენ, სხვებთან ერთად გატის შვილებიც. ომის ველზე წინ მიუძღოდათ მასწავლებელი-მღვდელი.

გატის ერთი ვაჟი მოკლეს ომში. ლაჩი შინ დაბრუნდა. ოჯახს ცვლილება არ დასტყობია. მხოლოდ ერთი დარჩა ბრძოლის ველზე, სიუქუნოდ, სამარადისოდ. საკვირველია, რომ იქიდან ბევრი არაიენ მოსულა. ლაჩი სწუხება, იქნებებოდა, რომ ცოცხალი დარჩა. გვირის ნახვა გაუხარდათ.

— მაღლობა ღმერთს! — ამბობდა დედა: — მან მოგვცა, მანვე მიიბარა. იქნებ ლაჩია ჩემი შვილი? მაგრამ, თუ ლაჩი არ არის, მაშინ?

გატის არც ეხლა უნუგეშებია ცალი. მეოცე წლის უკანასკნელი დღეც დადგა. გატე ცოლის ოთახში შევიდა. — ბარბარე, უფხრა ქმარმა: — ბედნიერი დღეა დღეს... ამ დროს ბარბარე ჰქარავდა.

— რის ბედნიერია? — ჰკითხა გულ-ცივად. — დღეს შესრულდა ოცი წელიწადი ჩვენ მეორე შვილს. გული შეებუთა დღეს. აღმურმა გადაკრა სახეზე, გფითორდა...

— რა გინდა ჰქანა? — ჰკითხა ყრუ ხმით ცოლმა. გატე ჯიბიდან ამოიღო შებეგული საბუთები. — მსურს შევასრულო ჩემი აღთქმა. ეხლა მაინც შეიტყე, რომელია შენი შვილი; გაქვს უფლება მომთხოვო. როგორც ვეფხი, მსწრაფლ წამოიკრა ბარბარე, მივარდა ქმარს და დააფარა პირზე ხელი. — გაჩუმდი! — შეტყვილა მან: — სიტყვა არ დასძრა... ეხლა აღარა მსურს მაგის შეტყობა...

მწუხარდღე მოსო მუბლზე ხელი და სთქვა: — დეე, ნახევარ-შვილი მაინც შეშრჩეს...

— მაშ რა ვუყო ამ ქალღღმებს? — გოხოვ, ჩაყარე ცეცხლში.

ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა. გატემ ჩაპყარა შიგ ქალღღმები. ერთი წუთის შემდეგ ავარდა ალი, რამაც შთანთქა საბუთები. ცეცხლმა გააშუქა დედის სახე, რომელზედაც მელიღური შეუპოვრობა აღბეჭდილიყო.

— ეხლა კი ვერავითარი წერილობითი საბუთი ვერ გაცხადებს შენს საიდუმლოს. დღეის შემდეგაც მხოლოდ შენ გეცოდინება იგი... — გულ-დაწყვეტილის ამოოხვრით უფხრა ცოლმა ქმარს.

გითხრათ სიმართლე! რაკი თვით დედამ აღარ ინდობა საიდუმლოს გაგება, ნურც შენ იქონიებ, ჩემო მკითხველო, იმის გაგების იმედს.

ქ. ასათიანი.



— თითქო მხოლოდ მე გიუყრად და ერთეულეპას მხარდებოდა. ჩემს სქ არ ეოფებით გა ისარტებულე და მაგულე დაახლოე თურმე. სირტხეაღია, სირტხეაღია!..

— ესეც შენა სიყვარულით მომიადია, შენმა შუხმა. იგდილობდა არ კადეხეუულიეუე ალეჩისს და ტრეფობას.



ტრედილისს სახლის მართონება მხოლოდ იმაზე ფიქრებენ, რამდენად მაგრად მოუტონ მუსრუტე თაქანი მღვმურებს.

რედაქტორ-ვაჟიმეგეული ალ. ჯანადაძის.